ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი №5

დაბა ქედა **08 დეკემბერი, 2020 წელი**

სხდომა დაიწყო 17:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 17:20 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა: ოთარ ხარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
ზურაბ თავდგირიძე - კომისიის წევრი;
არჩილ გორგილაძე - კომისიის წევრი;
ბადრი შავლიძე - კომისიის წევრი;
ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა:
თემურ ავალიანი - კომისიის წევრი;
რამინ ბერიძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდა:
საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა
სარეგისტრაციო ფურცელი

8.12.2020 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ბადრი შავლიძე	კომისიის წევრი	
3	არჩილ გორგილაძე	კომისიის წევრი	
4	თემურ ავალიანი	კომისიის წევრი	
5	ზურაბ თავდგირიძე	კომისიის წევრი	
6	რამინ ბერძე	კომისიის წევრი	
7	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის წესრიგი:

1. დაბის ტერიტორიაზე პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსების შესახებ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის შესწავლის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილია მოქალაქე ბესიკ ბერიძის ელექტრონული პეტიცია დაბის ტერიტორიაზე პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსების შესახებ (შემოსული დოკუმენტი №97/04; 15.10.2020 წელი), რომელიც განხილულ იქნა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 26 ოქტომბრის №01-07/14 ბიუროს სხდომაზე და საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებით შესასწავლად გადაეცა სოციალურ-საკითხთა კომისიას.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 10 ნოემბერს ჩატარდა კომისიის №4 სხდომა, რომელმაც იმსჯელა დაბის ტერიტორიაზე პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსების შესახებ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის შესწავლის თაობაზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ დაბის ტერიტორიაზე პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსების შესახებ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიცია კომისიის მიერ შესწავლილ იქნა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომისთვის განსახილველად წარედგინება კომისიის დასკვნის სახით.

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის მოღვაწეობის შესახებ და აღნიშნა, რომ ვახტანგ პაპუნიძე დაიბადა 1930 წელს ქედის მუნიციპალიტეტში, უმაღლესი განათლება მიიღო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში აგრონომიულ ფაკულტეტზე. 1969 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერებს შორის ყველაზე ადრე მიენიჭა პროფესორის წოდება. ის იყო აგრარიკოს-ეკონომისტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. ვახტანგ პაპუნიძე სამ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მოღვაწეობდა სამეცნიერო და სახელმწიფო დაწესებულებებში, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში აგრო-ეკონომიკური მეცნიერებისა და აჭარის რეგიონის განვითარებაში. ვახტანგ პაპუნიძე გარდაიცვალა 1987 წელს, დაკრძალულია ბათუმში, ფერიის პანთეონში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოგენილია ინფორმაცია ა(ა)იპ აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიიდან (შემოსული დოკუმენტი №78/04 27.08.2020 წელი) და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან (შემოსული დოკუმენტი №79/04 27.08.2020 წელი), რომლითაც აღნიშნულია ვახტანგ პაპუნიძის ღვაწლი და მიღწევები მეცნიერბაში.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრის არჩილ გორგილაძის განმარტებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების პროცედურებს აწესრიგებს ,,ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 ნოემბრის №25 დადგენილება. შესაბამისად მიზანშეწონილია პეტიციის დაკმაყოფილბის შემთხვევაში ძეგლი განთავსდეს სამართლებრივი პროცედურების დაცვით.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოს სოციალურ-საკითხთა კომისიის მიერ გადაწყვეტილებაა მისაღები დაბის ტერიტორიაზე პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსების შესახებ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის დაკმაყოფილების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს დაბის ტერიტორიაზე პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსების შესახებ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის დაკმაყოფილება საკრებულოს სხდომაზე, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 ნოემბრის №25 დადგენილების შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე